ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

სამახსოვრო ინსტრუქცია

**საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის
უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს**

**სამახსოვრო ინსტრუქცია განკუთვნილია იმ საარჩევნო
უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული
საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდება**

**საქართველოს პარლამენტისა და აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები**

წინამდებარე რესურსი მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

დოკუმენტი წარმოადგენს დამხმარე რესურსს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კომისიის თავმჯდომარეს, კენჭისყრის დღეს, საქმიანობა წარმართოს ორგანიზებულად და თანმიმდევრულად.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ცესკოს 2024 წლის 16 აგვისტოს N36/2024 დადგენილება „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

თემატური სარჩევი

01	როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის პროცესის დასაწყებად	2
02	როგორ ვმართოთ კენჭისყრის პროცესში წარმოშობილი რისკები	9
03	როგორ მოვემზადოთ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცესის დასაწყებად და რა უნდა გავითვალისწინოთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნების დროს	12
04	როგორ და რა პერიოდულობით აღვრიცხოთ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა (ამომრჩეველთა აქტივობა)	14
05	როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესისთვის	18
06	რა უნდა გავითვალისწინოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან მიმართებით	27

სამახსოვრო ინსტრუქციაში გაწერილი აქტივობების შესრულების პარალელურად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისთვის, ხმამაღლა გააჟღერეთ თქვენ მიერ განსახორციელებელი თითოეული პროცედურა.

01
როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის პროცესის დასაწყებად

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე (06:45 საათიდან 08:00 საათამდე) ჩასატარებელი პროცედურების ორგანიზებულად წარმართვა უკავშირდება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი აქტივობების განხორციელებას:

- ✓ უბნის გახსნა და საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმირება;
- ✓ სააკრედიტაციო მოწმობების შემოწმება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უბანზე დასაშვებად, ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
- ✓ მონაცემების გამოცხადება (მიღებული საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტებისა და ყველა სახის სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა);
- ✓ საკონტროლო ფურცლის შევსება;
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ფუნქციის შესაბამისად მასალების გადაცემა.

06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელებისთვის იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დეტალური აღწერით.

6:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა

- 06:45 საათზე გახსენით საარჩევნო უბანი, ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნის გახსნისა და კომისიის წევრთა კვორუმის თაობაზე.
- გადაეცით კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნი.
- შეამოწმეთ კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების სააკრედიტაციო მოწმობები (ძალაშია პირადობის მოწმობასთან/პასპორტთან ერთად).
- მიუთითეთ კომისიის მდივანს, კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების შედეგები, რომელიც ასახულია აღნიშნული ფუნქციის გასანაწილებლად კენჭისყრის დღემდე ჩატარებული წილისყრის შედეგების აქტში, შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში.
- ყველას დასანახად შეამოწმეთ იმ პაკეტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია კომისიის სპეციალური ბეჭედი და გახსენით ის.
- გამოაცხადეთ ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური კონვერტების რაოდენობები.
- შეამოწმეთ, რომ საარჩევნო ყუთები იყოს ცარიელი. ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქებით დალუქეთ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები (არსებობის შემთხვევაში).
- თითოეულ რეგისტრატორს გადაეცით:
  - ანბანის მიხედვით დანაწილებული ამომრჩეველთა ერთიანი სია. ერთ-ერთ რეგისტრატორს აგრეთვე, ამომრჩეველთა სპეციალური სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - შესაბამისი სახეობის საარჩევნო ბიულეტენების თითო ბლოკნოტი (რეგისტრატორი ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სიზუსტეს და თქვენთან ერთად ხელმოწერით ადასტურებს ბლოკნოტის თავფურცელზე არსებულ მიღებაჩაბარების აქტში);

- მარკირების სითხე;
- სპეციალური სახაზავი;
- საწერი კალამი (ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნით);
- რეგისტრატორების ბეჭედი.

- თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან გააკარით ამომრჩეველთა გვარების ანბანური და სიაში ამომრჩეველთა რიგითი ნომრების თანამიმდევრობა სარეგისტრაციო მაგიდაზე განლაგებული სიების შესაბამისად.
- ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადაეცით მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი.
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადაეცით სპეციალური კონვერტები. მიუთითეთ მას ადგილი დაიკავოს ძირითად საარჩევნო ყუთთან.
- კომისიის წევრებისათვის მასალების გადაცემის შემდეგ, კომისიის მდივანთან ერთად შეავსეთ საკონტროლო ფურცლების თვითკოპირებადი ფორმა, გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა. საკონტროლო ფურცელს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.
- კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე გააქტიურეთ პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაცია.

სქემა N1 - *პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაციის გააქტიურების პროცესის ილუსტრაცია*

{I} პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაცია გააქტიურეთ ხატულაზე დაჭერით.

{II} გაიარეთ ავტორიზაცია. ამ მიზნით შესაბამის ველებში შეიტანეთ სიმბარათის ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და დააჭირეთ ღილაკს „კოდის გაგზავნა“.



{III}

მოკლეტექსტური შეტყობინებით მიღებული კოდი შეიყვანეთ ველში „ერთჯერადი კოდი“ და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“.

08:00 საათიდან

- ☐ მას შემდეგ, რაც პირველი ამომრჩეველი გაივლის რეგისტრაციას, კომისიის მდივანი მის შესახებ მონაცემებს შეიტანს საკონტროლო ფურცლებში და პირველი ამომრჩეველი ხელს მოაწერს მას, საკონტროლო ფურცლის ერთი ეგზემპლარი ჩააგდეთ ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარი – გადასატან საარჩევნო ყუთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე ეგზემპლარი შეინახეთ საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით.
- ☐ პირველი ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიას აცნობეთ საარჩევნო ყუთის/ყუთების დალუქვის და საკონტროლო ფურცლის ყუთში/ყუთებში მოთავსების შესახებ.
- ☐ კენჭისყრის პროცესის დაწყება პლანშეტის მეშვეობით აცნობეთ ცესკოს.

სქემა N2 - *პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაციის მეშვეობით კენჭისყრის დაწყების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესის ილუსტრაცია*



{I}

პროცესის დაწყების შესახებ ცესკოს ინფორმირებისთვის დააჭირეთ ჩამოსაშლელ კონტექსტურ მენიუს.

{II}

პროგრამის მენიუში დააჭირეთ ღილაკს „აქტივობა“.

{III}

აირჩიეთ ღილაკი „გახსნა“. ღილაკის მონიშვნისთანავე ინფორმაცია გადაიგზავნება ცესკოში.

02
როგორ ვმართოთ კენჭისყრის პროცესში წარმოშობილი რისკები

- ✓ კენჭისყრაში მონაწილეობა ამომრჩეველს აეკრძალება თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ მას უკვე აქვს მარკირება. ნაკადის მომწესრიგებელი ამომრჩეველს განუმარტავს უარს კენჭისყრის ოთახში დაშვებაზე, ხოლო ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას აცნობებს კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნში შეტანის მიზნით.
- ✓ თუ ამომრჩეველი რეგისტრატორს წარუდგენს ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ძალადაკარგულ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (ძალადაკარგულია 2011 წლის 27 ივლისის ჩათვლით გაცემული არაელექტრონული მოწმობა), რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის მიზეზს და მიუთითებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცემა, თუ წარადგენს მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.
- ✓ თუ რეგისტრატორმა ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, აღნიშნული შეუსაბამობის თაობაზე მან უნდა მოგმართოთ თქვენ:
  - თუ დაადასტურებთ შეუსაბამობას, მიუთითეთ კომისიის მდივანს, ჩანაწერთა წიგნში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი კომისიის მდივანთან ერთად დაადასტურეთ ხელმოწერით.
  - თუ არ დაადასტურებთ შეუსაბამობას, რეგისტრატორს უფლება აქვს, ჩანაწერთა წიგნში ჩაწეროს თავისი განსაკუთრებული აზრი. კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნში უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით).

ეს ჩანაწერი რეგისტრატორმა და კომისიის მდივანმა უნდა დაადასტურონ ხელმოწერებით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნს უნდა დაურთოს მისი ხელმოწერით დადასტურებული ამომრჩევლის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

პროცედურების შესრულების შემდეგ ამომრჩეველს მიეცით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

- ✓ ამომრჩეველს კენჭისყრაში მონაწილეობა აეკრძალება მარკირების პროცედურის გავლაზე უარის შემთხვევაში. რეგისტრატორი მას განუმარტავს დატოვოს კენჭისყრის შენობა.
- ✓ თუ ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემები არ მოიძებნა, შესაძლებლობის ფარგლებში, დაეხმარეთ ამომრჩეველს მოიძიოს ინფორმაცია იმ უბნის შესახებ, რომელშიც ის არის რეგისტრირებული.

სქემა N3 - *პლანშეტში ჩატვიჰთუღი ცესკოს აპლიკაციის მეშვეობით ამომჰჩევლის მონაცემების ძებნის პჰოცესის იღუსტჰაცია.*

{I}

ამომრჩეველთა სიაში პიროვნების ძებნისთვის ამომრჩევლის პირადი ნომერი შეიყვანეთ ველში „პირადი ნომერი“ და აირჩიეთ ღილაკი „ჩამოტვირთვა“.

{II}

ერთიან სიაში ამომრჩევლის რეგისტრაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ეკრანზე გამოვა ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები, მათ შორის, იმ საარჩევნო უბნის ნომერი.

✓ ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს საარჩევნო უბანზე მყოფი ნებისმიერი პირი, გარდა:

ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ბ) კანდიდატისა;

გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;

დ) დამკვირვებლისა;

ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.

✓ თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, დაავალეთ რეგისტრატორს ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახლით. ამომრჩევლის თანდასწრებით, გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი დაკეცეთ იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს საარჩევნო სუბიექტების დანახვა, გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი დაამაგრეთ ლითონის შემკერით, ჩამოაჭრით კუთხე, დააწერეთ „გაფუჭებულია“ და ხელი მოაწერეთ. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი შეინახეთ ცალკე.

03
როგორ მოვემზადოთ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცესის დასაწყებად და რა უნდა გავითვალისწინოთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნების დროს

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრა იწყება 09:00 საათიდან. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრებს გადაეცით:
  - დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი;
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის კომისიისთვის განკუთვნილი ვერსია;
  - ერთ-ერთი რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული შესაბამისი სახეობის საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
  - სპეციალური კონვერტები გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად;
  - ლითონის შემკვრელი (გამოიყენება საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად);
  - მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი;
  - მარკირების სითხე;
  - საწერი კალამი (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირებისა და ბიულეტენის შევსების მიზნებისთვის);
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქი.

- კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნში შეაქვს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისთვის გადაცემული შესაბამისი სახეობის საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა, ასევე გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბნიდან წაღების დრო.

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში გამოყავით ადგილი ავტომანქანაში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის (ასეთის არსებობისას).

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა სრულდება არაუგვიანეს 19:00 საათისა, გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20:00 საათისა.

- გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნებისთანავე მიუთითეთ კომისიის მდივანს შეამოწმოს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების, გამოუყენებელი ან/და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორე. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გადასატანი ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით.

  ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები, გაითვალისწინება კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის მიზნებისთვის.

- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ გაფუჭებულია და ხელი მოაწერეთ. კომისიის მდივანს, ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე საარჩევნო უბანში საარჩევნო ყუთის დაბრუნების დრო შეაქვს ჩანაწერთა წიგნში.

04
როგორ და რა პერიოდულობით აღვრიცხოთ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა (ამომრჩეველთა აქტივობა)

- კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენის მიზნით, 10:00, 12:00, 15:00, 17:00 საათზე, მიუთითეთ რეგისტრატორებს კენჭისყრის პროცესისთვის ხელის შეუშლელად 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათებზე, ასევე ფუნქციის დროებით გადაცემის შემთხვევაში, გადაითვალონ ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა (მათ მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით) და მათ მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (თქვენთვის გადმოცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით).
- ამომრჩეველთა რეგისტრატორებმა დათვლილი მონაცემები სისწორის გადამოწმების მიზნით უნდა გაცნობონ:

გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას	−	გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	=	ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას

თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები გაითვალისწინება კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის მიზნებისთვის.

- შესაბამისი პერიოდისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ მონაცემები, მათ შორის 20:00 საათზე გენდერულ ჭრილში, პლანშეტით აცნობეთ ცესკოს.

სქემა N4 - *კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (აქტივობის) შესახებ ინფორმაციის ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია.*



{I}

დააჭირეთ ჩამოსაშლელ კონტექსტურ მენიუს.

{II}

პროგრამის მენიუში დააჭირეთ ღილაკს „აქტივობა“.

{III}

აირჩიეთ შესაბამისი დროის მაჩვენებელი აქტიური ველი.

{IV}

გრაფაში შეიტანეთ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი კენჭისყრაში/ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა და აირჩიეთ ღილაკი „გაგზავნა“.



{V}

გაგზავნილი მონაცემი აისახება შესაბამისი პერიოდის აქტივობის გრაფაში.

05
როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესისთვის

საარჩევნო უბნის დახურვიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურების ორგანიზებულად წარმართვა უკავშირდება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი აქტივობების განხორციელებას:

- ✓ საარჩევნო უბნის დახურვა;
- ✓ საარჩევნო უბნის მოწყობა ხმის დათვლის პროცედურისთვის;
- ✓ წილისყრით მთვლელების გამოვლენა;
- ✓ ხმის დათვლის პროცესში დამკვირვებლებისგან გამოვლენილი მეთვალყურეების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ მთვლელების მიერ ძირითადი/გადასატანი საარჩევნო ყუთების გახსნამდე შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვა;
- ✓ ძირითადი/გადასატანი საარჩევნო ყუთების გახსნა;
- ✓ მთვლელების მიერ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება, დათვლა და დალუქვა.

საარჩევნო უბნის დახურვიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელებისთვის იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დეტალური აღწერით.

საარჩევნო უბნის დახურვიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე პერიოდში ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა

- ☐ კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. კომისიის ერთ-ერთი წევრს დაავალეთ აღრიცხოს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარები, სახელები და რაოდენობა გაცნობოთ. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, დალუქეთ ძირითადი ყუთის ჭრილი და კენჭისყრა დასრულებულად გამოაცხადეთ

- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნის 26-ე და 27-ე გვერდებზე შეიტანოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მონაცემები.

  კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრის შენობის დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

- ☐ პლანშეტით, უზრუნველყავით ცესკოსთვის კენჭისყრაში/ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობის შესახებ მონაცემების გადაეცემა, მათ შორის გენდერულ ჭრილში.

  კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობის (აქტივობის) შესახებ ინფორმაციის ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია იხილეთ გვ. 20 სქემა N5.

სქემა N5 - *კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო ხაოდენობის (აქტივობის) შესახებ ინფორმაციის ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია.*



{I}

დააჭირეთ ჩამოსაშლელ კონტექსტურ მენიუს.

{II}

პროგრამის მენიუში აირჩიეთ ღილაკი „აქტივობა“.

{III}

აირჩიეთ შესაბამისი დროის მაჩვენებელი აქტიური ველი.

{IV}

გრაფაში შეიტანეთ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა და აირჩიეთ ღილაკი „გაგზავნა“.

ანალოგიურად შეიტანეთ და გადააგზავნეთ გენდერული მონაცემები.

{V}

გაგზავნილი მონაცემი აისახება შესაბამის გრაფებში.

- ხმის დათვლის პროცედურის დაწყების მიზნით, ჩაატარეთ წილისყრა ოთხი მთვლელის გამოსავლენად.
- ჩაატარეთ წილისყრა საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან არაუმეტეს 2 წარმომადგენლის გამოსავლენად, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.

  წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრებიც არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები.
- დამკვირვებელთა შორის ჩაატარეთ წილისყრა 2 მეთვალყურის გამოსავლენად იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესის მეთვალყურე პირებს.
- მოაწყვეთ უბანი ხმების დასათვლელად. მთვლელების მაგიდასთან მიიტანეთ:
  - ამომრჩეველთა ერთიანი სია;

- გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სპეციალური სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- რეგისტრატორებთან არსებული გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები.

- მიუთითეთ კომისიის მდივანს ცალ-ცალკე პაკეტებში მოათავსოს:
  - ამომრჩეველთა ერთიან სია;
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - სპეციალურ სიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენები;
  - რეგისტრატორებთან არსებული გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები (პაკეტში მოთავსებამდე კომისიის მდივანი აღნიშნულ საარჩევნო ბიულეტენებს აჭრის კუთხეს).
- დალუქული დოკუმენტაციის დალუქვის ზოლზე ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად.
- თავდაპირველად გახსენით გადასატანი საარჩევნო ყუთი. კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით შეამოწმეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა და გახსენით ის.

  იმ შემთხვევაში, თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (აღნიშნული ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობეთ საოლქო საარჩევნო კომისიას). წინააღმდეგ შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთი დალუქეთ და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცით საოლქო საარჩევნო კომისიას.

- ☐ თუ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ან საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეკარით პაკეტად და დააწერეთ „ბათილია“. დოკუმენტაცია საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცით ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ☐ თუ დარღვევა არ გამოვლინდა, მიუთითეთ მთვლელებს, დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან საარჩევნო ყუთში.
- ☐ გახსენით ძირითადი საარჩევნო ყუთი. კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით შეამოწმეთ ძირითადი საარჩევნო ყუთების ლუქების მთლიანობა და გახსენით ის.
- ☐ თუ საარჩევნო ყუთის შემოწმებისას ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (აღნიშნული ფაქტი დაუყოვნებლივ ეცნობება საოლქო საარჩევნო კომისიას). წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და კომისიის განკარგულებით გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ☐ თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეფუთეთ და დალუქეთ, შეადგინეთ სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცით საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ☐ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესის დაწყებამდე დალუქეთ საკონტროლო ფურცლები. დალუქულ პაკეტზე მიუთითეთ საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი, დოკუმენტების სახეობა და მოაწერეთ ხელი.
- ☐ მიუთითეთ **მთვლელებს** ერთმანეთში შეურიონ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი სპეციალური კონვერტები და დაიწყონ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება/დათვლის პროცესი.

- საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ კომისიურად განიხილეთ და კენჭისყრით გადაწყვიტეთ საეჭვოდ მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობის საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრობის შემთხვევაში გადამწყვეტია თქვენი ხმა. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენი დადეთ ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენი – ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში.
- საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების შემდეგ მიუთითეთ მთვლელებს დაითვალონ: ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები; თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმები.
- გამოაცხადეთ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. კომისიის მდივანთან ერთად შეამოწმეთ მონაცემების სისწორე.

ყურადღება!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაში არ გაითვალისწინება იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა სპეციალური სიით მიიღეს და რომლებსაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამი მეტია კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობაზე, მიუთითეთ მთვლელებს ხელახლა გადათვალონ მონაცემები.

- საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ, მიუთითეთ მთვლელებს, ცალ-ცალკე პაკეტებად დალუქონ:
  - ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
  - სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში;
  - საარჩევნო სუბიექტების კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტები.
- დალუქულ პაკეტებს ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად.

06
რა უნდა გავითვალისწინოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან მიმართებით

საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები დასტურდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებით.

- ☐ კომისიის მდივანი თქვენთან შეთანხმებით ავსებს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანზე. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

  კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენასთან დაკავშირებით დეტალური რეგულაცია იხილეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, გვერდი 46-49, ქვეთავში „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა“.

ყურადღება!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაში არ გაითვალისწინება იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა სპეციალური სიით მიიღეს და რომლებსაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

- საქართველოს პარლამენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, პლანშეტის გამოყენებით გადაუგზავნეთ ცესკოს.

  საქართველოს პარლამენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლთან ერთად, ცესკოს გადაუგზავნეთ ასევე, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის, განსხვავებული აზრის დოკუმენტის, კომისიის მდივნის/კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებების ფოტოასლი - ასეთი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში.

სქემა N6 - *საქართველოს პარლამენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ეტაპების იერუსტრაცია.*



{I}

დააჭირეთ ჩამოსაშლელ კონტექსტურ მენიუს.

{II}

პროგრამის მენიუში აირჩიეთ ღილაკი „ოქმი“.



{III}

აირჩიეთ შემაჯამებელი ოქმის სახეობა - ღილაკი „პროპორციული“





{IV}

ოქმის ფოტოასლის გადაღების მიზნით აირჩიეთ ფოტოაპარატის ამსახველი ღილაკი.

{V}

პლანშეტის ფოტოკამერის ობიექტივში სრულად უნდა ჩანდეს შემაჯამებელი ოქმი. აირჩიეთ ღილაკი „გადაღება“.



{VI}

შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გაგზავნის მიზნით აირჩიეთ ღილაკი „გაგზავნა“.

იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო უბანზე:

- ✓ დაფიქსირდა პლანშეტის ტექნიკური ხარვეზი (პრობლემა შეექმნა ცესკოს აპლიკაციას, რომლის მეშვეობითაც იგზავნება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი) და ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება, ელექტრონული მართვის სისტემაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ატვირთვას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისია, მისთვის სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად შემაჯამებელი ოქმის გადაცემის შემდგომ.
- ✓ არ არის მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის უწყვეტი კავშირი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი ცესკოს შეიძლება მიეწოდოს კენჭისყრის შენობის გარე პერიმეტრიდან, ან ელექტრონული მართვის სისტემაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ატვირთვას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისია, მისთვის სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად შემაჯამებელი ოქმის გადაცემის შემდგომ.
- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამოწმებული ფოტოასლი საჯარო გაცნობისთვის გამოაკარით კენჭისყრის შენობაში.

- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების და შესწორების ოქმის (არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლების გაცემისას (მოთხოვნის შემთხვევაში) კომისიის მდივანთან ერთად ხელი მოაწერეთ და დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით.
- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან/შესწორების ოქმთან დაკავშირებული კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში.
- ☐ ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ კომისიის მდივანთან ერთად დახურეთ სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი, დაამოწმეთ ხელმოწერებით და საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭდით.
- ☐ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაბარების მიზნით დალუქეთ ჩანაწერთა წიგნი და მასთან ერთად განცხადებები/საჩივრები (ასეთის არსებობისას);
- ☐ ჩანაწერთა წიგნის დალუქულ პაკეტს კომისიის მდივანთან ერთად მოაწერეთ ხელი.
- ☐ დალუქეთ კომისიის სპეციალური ბეჭედი. კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქულ პაკეტს ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.